ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2305437

ნომერი: AR1353631

თარიღი : 11.11.2015

გაცემის თარიღი : 20.11.2015

გაცნობის თარიღი : 20.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვახტანგ ოყროშიძე პ/ნ 01007004689
- თბილისი, მერაბ კოსტავას 60. ბინა 8.

ორგანიზაცია:
- შპს "აკვარიუმი 2010" კოდი: 404854582

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქე ვახტანგ ოყროშიძემ 11/11/2015 წ. #AR1353631 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა, ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, გიორგი სააკაძის მე-2 გასასვლელი, N 11– ში 01.10.13.016.107 (ფართობი: 775 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე საყრდენი კედლის, ღობე და დამხმარე სათავსოს მოწყობის მიზნით დამტკიცებულ იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: საყრდენი კედელი, ღობე, დამხმარე სათავსო და არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: საყრდენი კედელი, ღობე, დამხმარე სათავსო და არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ფუნქციაში დაფიქსირდეს: - დამხმარე, კომერციული;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების ტექსტურ ნაწილში შენიშვნის სახით დაემატოს: „საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობის მდგრადობის შესახებ“
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2014 წ. №1177837 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.